

ლოკალური ინიციატივა

ციტატა - „თუ თქვენ და თქვენს მეზობლებს ან მეგობრებს გაქვთ რაიმე იდეა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენთვის და თქვენი თემისთვის, შეგიძლიათ განაცხადი შეიტანოთ მერიაში, რათა ეს იდეა ერთობლივად მოიყვანოთ სისრულეში“ – სახელმძღვანელო აქტიური მოქალაქეებისთვის, ვარშავა, 2016 წ.

ლოკალური ინიციატივა არის თანამშრომლობის ფორმა ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, რომელიც საშუალებას იძლევა, შესრულდეს საზოგადოებრივი დავალებები თემის საკეთილდღეოდ.

ადგილობრივი ინიციატივის დროს უშუალოდ მოქალაქეებიდან, დასახლებებიდან, სამეზობლოდან, ამხანაგოებიდან მოდის შეთავაზება, თუ რა საკითხი (პრობლემა) იქნეს მოგვარებული და მოსახლეობა თავადაც მონაწილეობს ამ პრობლემის მოგვარებაში. მისი წვლილი გამოიხატება როგორც ფიზიკური შრომით, ასევე ფულადი სახსრებით ან მასალებით. მერიის დახმარებით მაცხოვრებლებს რეალიზებაში მოჰყავთ თავისი იდეები თემის საკეთილდღეოდ. რაც უფრო აქტიურია მოქალაქეები, მით უფრო ძლიერია მუნიციპალიტეტი.

ადგილობრივი ინიციატივა მუშაობს შემდეგი სქემის მიხედვით:

1. **იდეა** - მზადდება პროცედურების ფორმატი ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან (სამსახურებთან, განყოფილებებთან) და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად. განიხილება კრიტერიუმები, განაცხადის შეტანის პროცესი, შეფასების პროცესი, აღრიცხვისა და ანგარიშგების მოთხოვნები და ა. შ.;
2. **განაცხადის მომზადება** - შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ამზადებენ საკუთარ წინადადებას სამოქალაქო ინიციატივების დაფინანსებისთვის, მათი სფეროდან გამომდინარე. დოკუმენტების ფორმა ერთგვაროვანია ანუ განსაზღვრულია ფორმატი;
3. **განაცხადის შეფასება** - განაცხადის შეფასებას ახორციელებს საკრებულო. ის იხილავს და საბოლოოდ ამტკიცებს მას;
4. **დეტალების დაზუსტება და ხელშეკრულების გაფორმება** - იქმნება ორგანო, მაგალითად, მონიტორინგის კომისია, რომელსაც ევალება პროცედურების განხორციელების მონიტორინგი და ცვლილებების შემოთავაზება. ფორმდება ხელშეკრულება განაცხადის წარმდგენთან;
5. **რეალიზაცია** - ხორციელდება დაფინანსებული პროექტების შემდგომი მონიტორინგი;
6. **შედეგების შეჯამება** - ხორციელდება დასრულებული პროექტების შეფასება.

პროექტი შეიძლება წარადგინოს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა (მინ. ორმა) ან ორგანიზაციამ.

ადგილობრივი ინიციატივის განხორციელება შეიძლება ყველა დასახლებულ პუნქტში (ქალაქი, რაიონული ცენტრი, სოფელი, დაბა თუ სხვ.). მთავარია, წამოვიდეს

ინიციატივა მოსახლეობიდან. საქართველოში ის განხორციელებულია განხორციელებულია ხულოს, შუახევის, ქედასა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში.

ადგილობრივი ინიციატივა მოსახლეობის გადაწყვეტილებაა. ისინი ახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას ადგილზე და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად მუშაობენ მის აღმოფხვრაზე.

ადგილობრივი ინიციატივის დროს მერია არ გადასცემს ფულად სახსრებს, ის მხარს უჭერს ამოცანების შესრულებას ორგანიზაციული ან ადგილობრივი ინიციატივის განსახორციელებლად საჭირო სერვისების ან / და მასალების შეძენის გზით. თანხის მოძიება შესაძლებელია ბიზნესიდან. მოსახლეობას აგრეთვე შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს და თანადაფინანსების სახით ჩადოს სხვადასხვა ხელთ არსებული რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ფიზიკური (მაგ., მუშახელი). ამდენად, თუ არ არსებობს დამატებითი ბიუჯეტი ამისთვის, მისი განხორციელება მაინც შესაძლებელია.

განსახორციელებელი პროექტების შერჩევა ხდება ოფიციალური პირების მიერ, რომლებიც აფასებენ ადგილობრივი ინიციატივის ფარგლებში წარდგენილ პროექტს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

ადგილობრივი ინიციატივა არის კანონიერი პროცესი. თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სამართლებრივი ნორმები, ძირითადად, გაწერილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და ორგანული კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხოლო დამატებითი მექანიზმები მოცემულია, ასევე, საკრებულოს დებულებებით (რეგლამენტებით).

ადგილობრივი ინიციატივის ამუშავება შესაძლებელია ნებისმიერი თანხით, რომელიც დამოკიდებულია დასახლების არსებულ შესაძლებლობებზე და მაცხოვრებლების წვლილის ღირებულებაზე.

ფულადი სახსრები მოსახლეობის თანამონაწილეობის ფარგლებში ჩანაცვლებულია ფიზიკური შრომით, მასალით და სხვა რესურსით.

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს მთელი წლის განმავლობაში.

ადგილობრივი ინიციატივის განხორციელებისთვის კანონმდებლობით ვადები გაწერილი არ არის. საერთაშორისო და საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე უმეტესად ხორციელდება მოცემული წლის ბოლომდე.

თუ ვისზე რა და როგორ ახდენს გავლენას ადგილობრივი ინიციატივა იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ვისზე/რამოქმედებს	როგორ მოქმედებს
ჩართულობა	უზრუნველყოფს მოსახლეობის მეტ ჩართულობას დემოკრატიის სხვადასხვა ფორმების გათვალისწინებით.
გააქტიურება პასუხისმგებლობების აღება	მოწყვლადი ჯგუფების გააქტიურება, ასევე ახალგაზრდების ჩართულობა თემატური პრიორიტეტების განსაზღვრით და საპორექტო წინადადებების შემუშავებით.

ცოდნის გაღრმავება და პრობლემებზე ორიენტაცია	საინფორმაციო - საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება და ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ- ეკონომიკური სიტუაციის შესახებ და მათთან ერთად თემატური პრიორიტეტების შემუშავება.
კოოპერაცია	სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო მოხელეები ერთობლივად მუშაობენ საპროექტო წინადადებებზე რაც იწვევს და აღრმავებს ნდობას.
დემოკრატიული ცვლილებები	აღნიშნული პროცესების დანერგვით მეტი სწრაფვა დეცენტრალიზაციისაკენ. აქტიური სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული პროცესების გაძლიერება ქვეყანაში.
გარემოს გაუმჯობესება	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და საზოგადოების მოთხოვნილებებზე ორიენტირებული თვითმართველობა .